



შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი
პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი

თბილისი

2019

მუხლი 1. ზოგადი დებულება

- 1.1. წინამდებარე პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი (შემდგომში წესი) მიზნად ისახავს კვალიფიციური, სათანადო ცოდნის, გამოცდილებისა და საჭირო უნარ-ჩვევების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევას.
- 1.2. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება წინამდებარე წესისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებლი

- 2.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში.
- 2.2. პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომომუშავებისა და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების დადასტურებული კონპეტენცია.

მუხლი 3. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევა

- 3.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის მიზნით დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან/და დასაქმების შესაბამის ვებ-გვერდებზე ქვეყნდება ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანსიის შესახებ, სადაც მითითებულია ვაკანსიის დასახელება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, ვადები და სხვა პირობები.
- 3.2. ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან იწყება საბუთების მიღება და განხილვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ დაწესებულების დირექტორი და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახდენენ შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრებას. გასაუბრების დადებითი შედეგის შემთხვევაში დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, რის საფუძველზეც შერჩეულ პროფესიული განათლების მასწავლებლის კანდიდატთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამის მოთხოვნათა დაცვით.
- 3.3. პროფესიული განათლების მასწავლებლის კანდიდატის შერჩევასა გათვალისწინებულ უნდა იქნას შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და დარგობრივი პროფილით მუშაობის გამოცდილება, რომლის დადასტურებაც უნდა მოხდეს შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე.
- 3.4. პრაქტიკული კომპონენტის საწარმოო პრაქტიკის ბაზაზე ჩატარებისას, პრაქტიკას განახორციელებენ ბაზის (პრაქტიკის ობიექტი) მიერ შეთავაზებული შესაბამისი პირები ან/და პროფესიული განათლების მასწავლებლები.
- 3.5. პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირი, უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე წესით დადგენილ შესაბამის მოთხოვნებს.

მუხლი 4. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- 4.1. შერჩეულმა პროფესიული განათლების მასწავლებლის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა. განცხადება დირექტორის სახელზე;
 - ბ. პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გ. ავტობიოგრაფია-cv;
 - დ. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ე. შესაბამისი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის (არსებობის შემთხვევაში) ასლი;
 - ვ. სხვა დოკუმენტების (სიგელები, დიპლომები, სერთიფიკატები და სხვა) ასლები.
- 4.2. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და ნამდვილობაზე პასუხისმგებელია დოკუმენტაციის წარმომდგენი პირი.
- 4.3. წინამდებარე მუხლის 4.1. პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატს ეძლევა ვადა - 5 სამუშაო დღე, ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ ხსენებულ დოკუმენტთა წარმოდგენლობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 5. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე წესში

- 5.1. წინამდებარე წესი მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით;
- 5.2. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.